სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/15

ქ. თბილისი 24 აპრილი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2025 წლის ნაერთ ბიუჯეტსა და საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 22 აპრილის №0000431175 და 24 აპრილის №0000439972 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 24 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის 2025 წლის ნაერთ ბიუჯეტსა და საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 22 აპრილის №0000431175 და 24 აპრილის №0000439972 წერილებით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად;
2. უნივერსიტეტის საშტატო განრიგში განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2025 წლის 1 მაისიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**